ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის გახსნა

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ...ასადზე ტრანსპარანტებია ქართულ, აზე...ბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე ...ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის ...მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონა...წილეებისადმი მიმართული მისალმების ...ტიყვებით.

1200-ზე მეტი კაცი — მიწათმოქმედე...ბისა და მეცხოველეობის გამოცდილი ...ოსტატი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ...ორგანიზატორი და სპეციალისტი, პარტიის ...რაიკომის მდივანი და რაიაღმასკომის თავ...მჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ...და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ...კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეო...ბის პირველადი პარტორგანიზაციის მდივა...ნი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენე...ბლობის საწარმოებისა და საკონსტრუქტო...რო ბიუროების მუშაკი, მეცნიერი, საქარ...თველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პარტი...ული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვა...ელი მუშაკი შეიკრიბა 6 თებერვალს თბი...ლისში თათბირზე.

დილის 10 საათია. თათბირის პრეზიდიუ...მში გამოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტე...ტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მი...ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** დამსწრენი მას მქუხარე, ...ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზი...დიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა სა...ბჭოს დავალებით ამიერკავკასიის რესპუბ...ლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავე...თა თათბირს ხსნის სკკპ ცენტრალური კო...მიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდი...დატი, საქართველოს კპ ცენტრალური კო...მიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე.**

— დღეს ჩვენთვის, — ამბობს ვ. პ. მჟა...ვანაძე, — უჩვეულო დღეა. ჩვენი თათბი...რი, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკე...ბის: აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართვე...ლოს სოფლის მეურნეობის საუკეთესო ...წარმომადგენელთა შეკრება აღინიშნება ...მნიშვნელოვანესი, მე ვიტყოდი, ისტო...რიული მოვლენით, — თათბირის მუშაობა...ში მონაწილეობს კომუნისტური პარტიისა ...და საბჭოთა სახელმწიფოს ნაცადი ხელმძ...ღვანელი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ...ამოჩენილი მებრძოლი, მთელ მსოფლიო...ში მშვიდობის დიდი მედროშე, ჩვენი ძვი...რფასი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი **(მქუ...ხარე, ხანგრძლივი ტაში).**

— ნება მიბოძეთ, — განაგრძობს ვ. პ. ...მჟავანაძე, — ქართველი ხალხის, საქართ...ველოს მშრომელთა, თათბირის ყველა მო...წილის სახელით სულითა და გულით ...მივესალმო ნიკიტა სერგის ძეს და ვუსურ...ვო კიდევ მრავალი წლის ბედნიერი ცხოვ...რება და ახალი ისტორიული გამარჯვებები ...ამის გიგანტურ შემოქმედებითს მოღვაწეო...ბაში მშვიდობისა და კომუნიზმის საკე...თილდღეოდ, დიადი საბჭოთა კავშირის ...ხალხთა და მთელი პროგრესული კაცობ...რიობის საკეთილდღეოდ **(ხანგრძლივი ...ტაში).**

ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ჩვენს ...რესპუბლიკაში ჩამოსვლამ საქართველოს ...მშრომელთა უჩვეულო შრომითი და პო...ლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. ქართ...ველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ნიკიტა ...სერგის ძე პირველად საქართველოში იყო ...ოქტომბერსსახსოვარ 1921 წელს, ლეგენდარული განმათავისუფლებელი XI არმიის რიგებ...ში, რომელიც დიდი ლენინის მითითებით მოდიოდა საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მენშევიკების საძულველი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად.

ნიკიტა სერგის ძის ახლანდელი ჩამოსვლა ემთხვევა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც კომუნიზმი დადის არა როგორც აჩრდილი, არამედ ძლევამოსილად მიაბიჯებს მთელს დედამიწაზე, არყევს იმპერიალიზმის უკანასკნელ ბასტიონებს და თავს უყრის თავისი უკვდავი დროშის, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ კეთილი ნების ადამიანთა სულ ახალ-ახალ მილიონებს.

ქართველ ხალხს, — აღნიშნავს ვ. პ. მჟავანაძე, — კარგად ესმის, რომ თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ ყველა შესანიშნავ გამარჯვებას იგი უნდა უმადლოდეს დიდ ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

ჩვენმა რესპუბლიკამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელების შედეგად. ამ თათბირზე მინდა ჩვენი ხალხის სახელით ერთხელ და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, იმ უდიდესი დახმარებისათვის, ჭეშმარიტად მამობრივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რასაც იჩენთ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი მძლავრი კულტურულ-სამეურნეო განვითარებისადმი, საქართველოს მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი **(დარბაზში შეკრებილნი ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით ხვდებიან).**

თათბირის მუშაობაში,—ამბობს შემდეგ ვ. პ. მჟავანაძე, — მონაწილეობენ აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეები, ამ მოძმე რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტების სახელით, ყველა მშრომელის სახელით მივესალმო ჩვენს ძვირფას ძმებს და ვუსურვო მათ დიდი წარმატებანი მუშაობაში და ბედნიერება ცხოვრებაში **(ტაში).**

თათბირის საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღმავლობით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

ამტკიცებენ თათბირის დღის წესრიგს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. ამ საკითხზე თათბირმა მოისმინა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის,** აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ ი. ახუნდოვის,** სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ი. ნ. ზარობიანის** მოხსენებანი.

მოხსენებების გამო დაიწყო კამათი.

(საქდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 30-17 ფელი.

№ 17 (1653) ○ სამშაბათი, 7 თებერვალი, 1961 წ. ○ ფასი 2 კაპ.

ლიდერობს ტ. პეტროსიანი

ბრძოლები ფინიშზე შესამჩნევად დაიმუხტა. XVI ტურში მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც მეთაურობს ვ. გოგლიძე, მხოლოდ ხუთ პარტიაში აღნიშნა შედეგი. აქედან ოთხ შეხვედრაში (ავერბახ-შტეინი, ხასინ-ბანიკი, ბოლესლავსკი-გელერი და ტაიმანოვ-სიმაგინი) აღინიშნა ყაიმი. სპასკიმ სძლია ლუტიკოვს.

გადადებული პარტიების დამთავრებას უნდა ეთქვა თავისი „სიტყვა“. დიდ ინტერესს იწვევდა პოლუგაევსკი-პეტროსიანის პარტია, რომელიც შეწყვეტილი იყო პეტროსიანის უპირატესობით. მოსკოველმა გროსმაისტერმა ვირტუოზულად მოახდინა უპირატესობის რეალიზება და გაიმარჯვა. არანაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდა შტეინ-ფურმანის შეხვედრა. შტეინი დამარცხდა. ბოლესლავსკიმ მოუგო ბორისენკოს.

დარჩა სამი ტური. XVI ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: პეტროსიანი — 11,5 ქულა, გელერი — 10,5 ქულა, სპასკი — 10 ქულა, სმისლოვი და შტეინი — 9,5 ქულა თვითეულს, ავერბახი და პოლუგაევსკი — 9 ქულა თვითეულს.

დამაჯერებელი გამარჯვება

საკავშირო პირველობა ფრენბურთში, თბილისი,

5 თებერვალი.

თბილისის „ბურევესტნიკის“ მოსკოვის მაი-სთან მოგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ მოგების შემთხვევაში მას პრაქტიკულად უკვე განაღდებული ჰქონდა ფინალურ ჯგუფში მოხვედრა და პირველი ადგილისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება.

ამ მნიშვნელოვანმა მიზეზებმა განაპირობეს თბილისელთა დიღი ლტოლვა გამარჯვებისაკენ. მათ შეხვედრის დასაწყისშივე შეუტიეს მოსკოველ ფრენბურთელებს და სამი ქულით წინ გავიდნენ. ოსტატებმა იგრძნეს, რომ საქმე მეტად აგრესულად განწყობილ გუნდთან ჰქონდათ და სიფრთხილეს უმატეს, მოიშველიეს ოსტატობა, გამოცდილება და ახლა მათ ჩამოიტოვეს უკან სამი ქულით მასპინძლები. ამ კრიტიკულ მომენტში ვ. კაჭარავას ძლიერმა მოწოდებებმა, რომელთა საგრძნობი ნაწილი ქულის მოგებით მთავრდებოდა, გავრილენკოს და ბუინოვის ძლიერმა დარტყმებმა თამაშში გარდატეხა შეიტანა, ანგარიში გათანაბრდა და მალე წინ გავიდნენ. მართალია, იყო მომენტი, როდესაც მოსკოველებმა ქულათა განსხვავება მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ თბილისელთა თავგამოდებულმა თამაშმა სასურველი შედეგი გამოიღო და პირველი პარტია მათვე გამარჯვებით დამთავრდა — 15:10.

მეორე პარტია ისევ ისე დაიწყო როგორც პირველი. მოსკოველთა შორის გამოირჩეოდნენ გუნდის კაპიტანი ა. ცირკოვი და ბ. ელისეევი. ისინი ლიდერობდნენ თავიანთ გუნდს. მაგრამ მათი მუყაითობა მარტო რას იზამდა. თბილისელები კვლავ აღმავლობით თამაშობდნენ, იყენებდნენ ტაქტიკურ ვარიანტებს. განსხვავება თბილისელთა სასარგებლოდ ექცა ქულამდე გაიზარდა — 12:6. ამ ანგარიშმა მასპინძლებში ნაწილობრივ თვითდამშვიდება შეიტანა, მოსკოველებმა კი პირიქით, იერიშებს უმატეს. მეტად გაჭირდა გადამწყვეტი ქულის მოპოვება. როგორც იქნა თბილისელებმა მოიგერიეს მოსკოველთა ძლიერი იერიშები და... მეორე პარტიაც მოიგეს.

ძნელი წარმოსადგენი არ არის როგორ დაიმუხტებოდა ატმოსფერო მესამე პარტიაში, რომლის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. მაინ ზედიზედ აიღო ქულები და ის იყო ინიციატივას უნდა დაპატრონებოდა, მაგრამ თბილისელებმა „გადატეხეს“ თამაში. ბურთის მოწოდებაზე კვლავ დაღვა კაჭარავა. მან ორი ქულა შესძინა გუნდს. ანგარიშის გათანაბრებამ გადამწყვეტ მომენტში ძალა შემატა გუნდს, შეუტიეს და ინიციატივა გამოგლიჯეს ხელიდან. თუმცა სტუმრები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, თამაშში შემოიყვანეს ახალი ძალები, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. თბილისელებმა მოიგეს 15:13.

კიდევ ერთი ასეთი კოლექტიური, მაღალტექნიკური, მოფიქრებული თამაში და ფინალურ ჯგუფში მოხვედრის და ოსტატის წოდების მოპოვებისაკენ გზა ხსნილია. ეს მით უმეტეს სასიხარულოა, რომ ამ გუნდის სახით შექმნილია ძლიერი, მონოლითური კოლექტივი, რომელშიც მოთამაშეთა მიერ ურთიერთგაგება, სპორტული ქინი და ნებისყოფა იმ დონეზე დგას, რომ გუნდს შეუძლია თამამად ჩადგეს უძლიერესთა რიგებში.

სურათზე: მატჩი მოგებულია. თბილისელები გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს.

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

...ონტინენტის ჩემპიონი

...ელსინკი. დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ციგურებით რბენაში ვაჟთა შორის.

პირველ დღეს, როგორც წესი, ...ჯიბრება ჩატარდა 500 და 5.000 მეტრზე რბენაში. სპრინტერული დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა ვ. გრიშინმა (სსრ კავშირი) — 42,3, ხოლო 5.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ვ. კოსიჩკინმა (სსრ კავშირი) — 8.17,4. ვ. კოსიჩკინმა მეორე დღესაც მიაღწია ...წყვეტილ წარმატებას.

...ამრიგად, ორი დღის ასპარეზობაში ჯამში ქულათა მეტი რაოდენობით ვ. კოსიჩკინმა მოიპოვა პირველი ადგილი და მასთან ერთად ევროპის ჩემპიონობა.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲨᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲣᲚ ᲠᲝᲚᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲠᲘᲒᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲨᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲛ.

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲖᲠᲓᲘᲗ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲗᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚ ᲓᲝᲚᲐᲛᲘᲡᲖᲔ 679 ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲗᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲔᲫᲒᲜᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠ ᲛᲣᲨᲐᲛᲑᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲬᲔᲕᲡ ᲬᲘᲜ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ 1.400 ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲛᲐ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲒᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲨᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲙᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲤᲔᲮᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲠᲩᲔᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ, ᲪᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚ ᲡᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲔᲖᲔ ᲕᲘᲮᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲕᲣᲬᲧᲝᲗ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ 15 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘᲐ. ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲜ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘᲐ 12 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲒᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲗ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘ ᲩᲐᲔᲑᲐᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ.

Ა. ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲐᲫᲔ,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

* * *

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲐᲓ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲘᲛᲐᲦᲚᲔᲑᲔᲜ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ თქვენ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ ი. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲫᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ გ. ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

✦

Ა. ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ,

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

✦

ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲘᲙᲘᲓᲔᲑᲡ ᲤᲔᲮᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 8 ᲐᲗᲐᲡᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲜᲘᲛᲐᲢᲘᲐ, ᲗᲣ ᲛᲘᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲐᲓ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲘᲛᲐᲦᲚᲔᲑᲔᲜ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ თქვენ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ ი. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲫᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲘᲡ, ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ Გ. ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲗᲝᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲒᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲒᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ი. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲫᲔᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲛᲣᲐᲛᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲨᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲕᲪᲐᲓᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲛᲐᲢᲪᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲛᲝᲬᲧᲝ 1000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ 125, ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ 100-ᲛᲓᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ. ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲛᲐᲢᲔᲑᲗ ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲡ, ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ 1000-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲯᲠᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲝ Ს�პᲝᲠᲢᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐ 26 ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲕᲔ ᲛᲮᲐᲯᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲜᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲘᲛ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐᲜᲠᲘᲒᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐ. ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲗᲐᲜᲐᲠᲘᲗᲛᲔᲚᲘ.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲪᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ.

...ეგალითან კალეგოს ლეჯტივი

ერთი საწარმოს ენთუზიასტები

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა გასული წლის სპორტული სეზონი. აქ გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

კომბინატში რეგულარულად მუშაობს სექციები სპორტის მრავალ სახეობაში. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები: ტანვარჯიშს — ა. ვაჩიბერიძე, კალათბურთს — ო. ადეიშვილი, ჭიდაობას — დ. ჩაჩანიძე, ფარიკაობას — ბ. ნანიკაშვილი, მშვილდოსნობას — შ. ჯაშიაშვილი, სროლას — ქსოვის ინსტრუქტორი ო. ლიპარტელიანი, ჭადრაკსა და შაშს — ნოვატორი ინჟინერი ბ. ტორფაძე.

აბრეშუმის კომბინატის სპორტსმენები საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. ისინი ჩემპიონებად ითვლებიან კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, სროლაში, მეორე ადგილი აქვთ კალათბურთელ ქალთა შორის და ა. შ.

მშვილდოსნობა ახლა იკიდებს ფეხს ჩვენს რესპუბლიკაში და გულწრფელად გავვოცდით, როდესაც გავიგეთ, რომ კომბინატში არსებობს მშვილდოსანთა სექცია, რომ იგი სისტემატურად ატარებს ვარჯიშებს და რომ მას ერთგვარი წარმატებებიც კი აქვს თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების საქმეში. კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ვ. მიქაძემ გვირჩია პირადად შევხვედროდით სექციის ხელმძღვანელს შ. ჯაშიაშვილს.

შ. ჯაშიაშვილი სპორტით ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული. ადრე იგი ცხოვრობდა ახმეტის რაიონში და როგორც ყველა აქაური ახალგაზრდა — ჭიდაობდა. შემდეგ მან ხელი მოკიდა სროლას და ბოლოს თანრიგიც მიიღო სროლაში.

— ერთხელ, — განაცხადა ჯაშიაშვილმა — გაზეთ „ლელოში" და კიდევ რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე წერილი მშვილდოსნობის შესახებ. დავინტერესდი მისი მოწყობილობით, სროლის ტექნიკით და თვით ინვენტარის დამზადების პროცესით. მაშინ დამებადა აზრი: რატომ არ უნდა ჰქონდეს მშვილდს სამიზნე, ისეთი როგორიც აქვს შაშხანას, ან სხვა რომელიმე სასროლ იარაღს? მით უმეტეს გავიგე, რომ შვედურ მშვილდს ჰქონია მსგავსი რაღაცა.

წამოვიწყე საქმიანი მიწერ-მოწერა მოსკოვსა და ლვოვში, დავამზადე მარტივი ტიპის მშვილდი და შევუდექი კომბინატის ენთუზიასტთა მცირე ჯგუფთან ვარჯიშს. პირველ ხანებში უამრავ წინააღმდეგობებს წავაწყდით, რომელთა შორის უმთავრესი მშვილდის უვარგისობა იყო. საქმე იმაშია, რომ ქუთაისს ვერც ერთ ქარხანაში ვერ შეეძელი ხარისხიანი მშვილდის დამზადება, მაგრამ ასე იყო თუ ისე, წვრთნა დავიწყეთ და მალე კომბინატში პირველი შეჯიბრებაც ჩავატარეთ, რომელმაც საკმაოდ ორგანიზებულად და, რაც მთავარია, საინტერესოდ ჩაიარა. სამმა მშვილდოსანმა შეასრულა III თანრიგის მოთხოვნა, ერთი მათგანი ქალი იყო.

მაგრამ ჩემი ძირითადი იდეა ერთი წუთითაც არ მავიწყდებოდა. შევადგინე სამიზნეს ნახაზები, გავაცანი იგი მოსკოველ და ლვოველ ამხანაგებს, რომელთაგანაც მივიღე საჭირო რჩევა-დარიგება, შევიტანე კონსტრუქციაში ზოგიერთი შესწორება, მაგრამ საქმე ამაზე წინ არ წავიდა. იმის თქმა, რომ ჩემი კონსტრუქციის მშვილდი უნაკლოა, არ შეიძლება. მაგრამ ზოგიერთი უპირატესობა ამჟამად მომქმედ ლვოვის მშვილდთან შედარებით მას, ჩემის აზრით, აქვს. ლვოვის მშვილდი ორნაწილიანია, რაც ერთგვარად აქვეითებს მის ეფექტურობას, ჩემი კონსტრუქცია კი უკეთესი იქნება.

ჯაშიაშვილის ინიციატივა მისასალმებელია. მას მხოლოდ მეტი დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება და ნურავის — გაუკვირდება თუ ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მშვილდოსანთა გუნდი რამდენიმე ხნის შემდეგ რესპუბლიკაში უძლიერესი იქნება. ქუთაისელმა ენთუზიასტმა სასარგებლო საქმე წამოიწყო და თუ მის მაგალითს სხვებიც წაბაძავენ, ჩვენს რესპუბლიკაში სულ მალე მჭიდროდ მოიკიდებს ფეხს სპორტის ახალი სახეობა — მშვილდოსნობა.

ნ. ბარიშვილი



აბრეშუმკომბინატის მუშა-მოსამსახურეები თავისუფალ დროს ბევრს და გატაცებით თამაშობენ მაგიდის ჩოგბურთს.

საჭიროა კრივის სკოლა

ეს მოხდა ათიოდე წლის წინ. ქუთაისურ № 4 სახელოსნო სასწავლებლის განცხადებათა დაფაზე გამოჩნდა წარწერა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა შორის. განცხადება იუწყებოდა, რომ „ხვალიდან ი. მარქაროვის ხელმძღვანელობით მუშაობას დაიწყებს მოკრივეთა სექცია".

დიდი სამამულო ომი დამთავრებული იყო. საბჭოთა არმიიდან დაბრუნებული ი. მარქაროვი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ქუთაისში გაგზავნა მწვრთნელად კრივში. ომამდე ქალაქში მოკრივეთა რამდენიმე სექცია არსებობდა, მაგრამ ახლა მათი კვალიც კი გამქრალიყო და საქმეც თავიდან დასაწყები იყო.

ვარჯიში დაიწყო სახელოსნო სასწავლებლის საამქროს ერთ-ერთ კუთხეში, რომელიც სპეციალურად დაეაცარიელეს ამ მიზნით. მალე მარქაროვმა თბილისიდან ორი წყვილი ხელთათმანი წამოიღო და ამან კიდევ უფრო მეტი ხალხი მოიზიდა სექციაში. ახალგაზრდებმა გემო გაუგეს კრივს, მეტი ინტერესით მოკიდეს ხელი წვრთნას. გავიდა ხანი და მწვრთნელმა გადაწყვიტა პირველი ამხანაგური შეხვედრის მოწყობა, რომელზეც მარქაროვის აღსაზრდელებმა მრავალრიცხოვან აუდიტორიას აჩვენეს, თუ რას წარმოადგენს კრივი. საქმე მყარ ნიადაგზე დადგა.

მას შემდეგ წლებმა განვლო. ახალბედა მოკრივეები ვეტერანებად გადაიქცნენ, ხოლო მათი ადგილები ახალმა თაობამ დაიკავა და დღეს კრივი ქუთაისში სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, რომელიც წარმატებით უწევს კონკურენციას ფეხბურთს, კალათბურთს, ჭიდაობას.

ქუთაისმა ბევრი შესანიშნავი მოკრივე მისცა რესპუბლიკას. ისინი წარმატებით იცავდნენ თავიანთი ქალაქის, საზოგადოების ინტერესებს საბჭოთა კავშირის ქალაქების რინგებზე. ქუთაისს დღესაც მოკრივეთა ძლიერი კადრები ჰყავს, რომლებსაც ამზადებს გამოცდილი მწვრთნელი, საქმის მცოდნე და მოყვარული ი. მარქაროვი. ნაყოფიერად მუშაობს კრივის საქალაქო სექცია და მისი თავმჯდომარე ვ. ბუცხრიკიძე.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მოკრივეებს იდეალურ პირობებში უხდებათ ვარჯიში. პირველი, რაც ყველაზე მეტად აფერხებს ნორმალურ მუშაობას, ... არის ინვენტარის მიცემა.

— ახალგაზრდობის სპორტული ... და ქალაქის სპორტკომიტეტი მხოლოდ ეს ორი ორგანიზაცია გვიწევს ნამდვილ საქმიან დახმარებას, — განაცხადა მოკრივეთა მთავარმა მწვრთნელმა ი. მარქაროვმა. — მაგრამ მათ ყველაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ნაკლებ ინტერესს იჩენენ ჩვენდამი სპორტული საზოგადოებები.

ქალაქის მოკრივეთა საუკეთესო დარბაზში ცივა, თუმცა არც ესაა ძნელად მოსაგვარებელი საქმე.

ქუთაისში ბევრი ნიჭიერი მოკრივეა და ჩვენის აზრით აქ უნდა იყოს აუცილებლად კრივის სპეციალიზებული სკოლა, ისეთი როგორიცაა აფხაზეთში. მაშინ შესაძლებელი იქნება მეტი მაღალი თანრიგის სპორტსმენის მომზადება.. მაშინ ქუთაისი კიდევ უფრო მეტ ოსტატს აღუზრდის ჩვენს რესპუბლიკას.

დიდ სარბიელზე

1950 წელს თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. რესპუბლიკის უძლიერესმა გუნდმა ჩვენი ქვეყნის წამყვან კოლექტივებთან ბრძოლაში შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, ბრწყინვალე ტექნიკა გამოამჟღავნა და დამსახურებულად დაიკავა უმაღლესი ადგილი გათამაშების ცხრილში. დინამოელთა წარმატებას სპეციალისტები კანონზომიერ მოვლენად თვლიდნენ, ვინაიდან გუნდი ნამდვილად უძლიერესი კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. თბილისის „დინამოს" ამ დიდ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა კოლექტივის ერთ-ერთმა ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა ს. თორთლაძემ. ეს იყო ნიჭიერი სპორტსმენის უკანასკნელი გამოსვლა საკავშირო სარბიელზე.

მალე ს. თორთლაძე საცხოვრებლად გადავიდა მშობლიურ ქუთაისში, ქალაქში, სადაც დაიწყო მისი საინტერესო სპორტული ბიოგრაფია. მაგრამ მას არ შეეძლო საბოლოოდ ეღალატა სპორტისათვის და ამიტომ გადაწყვიტა ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილური საქმისათვის მოეკიდა ხელი. ასე დაიწყო გაჭოცდილი ოსტატის ცხოვრებაში ახალი გზა — გზა მასწავლებლის, აღმზრდელისა და პედაგოგისა.

1952 წლიდან ს. თორთლაძე ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორია და ამავე დროს ქალაქის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი. რას წარმოადგენს ახალგაზრდობის სპორტული სკოლა, რა ორგანიზაციაა იგი, როგორ როლს ასრულებს ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში? ახალგაზრდობის სპორტსკოლაში თავმოყრილია ქალაქის სპორტის საუკეთესო ძალები, მისი წამყვანი ბირთვი — ნაკრები გუნდები მძლეოსნობაში, კრივში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ცურვაში, წყალბურთში, ძალოსნობაში, ველოსპორტში, კალათბურთში...

სპორტსკოლის დირექტორთან საუბარში გამოირკვა, რომ აქ თავმოყრილია ქალაქის საუკეთესო მწვრთნელთა კადრებიც: ი. ბობოხიძე, ვ. გიგიაძე, გ. ბოგდანოვი, ი. მარქაროვი, მ. ცანავა, ხ. ვახტანგაძე, გ. ჩიქოვანი და სხვები. სწორედ ისინი ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეს და წვრთნიან წამყვან სპორტსმენებს საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის.

მთავარი ამოცანა დღევანდელ ჩვენს მუშაობაში, — განაცხადა ს. თორთლაძემ, — არის კიევის, მინსკის, ვილნიუსისა და იაროსლავსკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საქალაქო ხაბჭოების ინიციატივაზე გამოხმაურება და ზრუნვა იმისათვის, რომ ქალაქის უძლიერესი სპორტსმენები არ დარჩნენ მათ მიღმა.

ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტსკოლამ გასულ სპორტულ სეზონში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ საქმის ერთი ნაწილია. ახალგაზრდობის სპორტსკოლა საშეფო მუშაობასაც ატარებს ქალაქის მე-3 და მე-10 სკოლებში, აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. წარმოება-დაწესებულებებში სპორტული საღამოების მოწყობით იგი ნაყოფიერ პროპაგანდას უწევს ფიზკულტურასა და სპორტს მოსახლეობაში.

ჩვენს ქვეყანაში 200-მდე ახალგაზრდული სპორტსკოლაა. მათ რიცხვში ქუთაისის სპორტსკოლას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. გასული წლის შედეგების მიხედვით იგი საბჭოთა კავშირში მე-6 ადგილზე იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი წესრიგშია, რომ მას არ გააჩნია ნაკლოვანებები, რომელიც საქმიან და ოპერატულ გადაჭრას მოითხოვს.

ნაკლოვანებათა დიდი ნაწილი საკუთარი ბაზების უქონლობიდან მოდის. სკოლას არ გააჩნია ისინი და ამიტომ სპორტსმენებს სარგებლობენ უხდებათ ქალაქის ცენტრალური ბაზებით, რომლებიც დიდი კეთილმოწყობით არ გამოირჩევიან, ასე თუ ისე ნორმალურია მოკრივეთა, მოფარიკაველთა, ძალოსანთა, და მძლეოსანთა წვრთნის პირობები, ხოლო ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან მოცურავეები და წყალბურთელები, რომლებსაც არა თუ საზამთრო, საზაფხულო ბაზებიც კი არ გააჩნიათ.

ი. ნადიბაიძე

* * *

სპორტის ოსტატი ს. თორთლაძე თავის გამოცდილებას გადასცემს აღსაზრდელებს — ქუთაისის კალათბურთის ნაკრები გუნდის წევრებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლელო
მე-3 გვ. № 17 (1658

პირველი შედეგები

მძაფრი შეხვედრებით აღინიშნება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალები.

ვაჟთა ტურნირში IV ტურის შემდეგ გ. გამრეკელს 2 ქულა აქვს. მან დაამარცხა ბებჩუკი, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები არტიუხინსა და გრიშმანთან, ხოლო მოსკოველ ბერეზინთან გადადო მოსაგებ პოზიციაში. 2 ქულა აქვს უნივერსიტეტის ჩემპიონს მ. თხელიძეს. მან გაიმარჯვა არტიუხინსა და გრიშმანთან. მაგრამ ორი პარტია გადადებული აქვს მძიმე მდგომარეობაში. უფერულად დაიწყო ტურნირი თ. კიკიანმა.

• • •

ქალთა ტურნირში მონაწილეობს ოთხი თბილისელი. IV ტურის შემდეგ თ. ყორეოლაძეს 0 ქულა აქვს, ნ. ჯანგველაძეს — 2 ქულა, მ. ჩოგოლაშვილს — 0,5 ქულა, ხოლო გ. ბუცხრიკიძეს 1,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

• • •

სურათზე: ქალთა ტურნირის მონაწილე ნ. ჯანგველაძე (მარცხნივ) და მოსკოველი კოშაროვა. შუაში — ნახევარფინალების მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ფალავანდიშვილი.

„დინამო“ აგებს შეხვედრას

✦

საკავშირო პირველობა
კალათბურთში, თბილისი,
5 თებერვალი.

✦

მოსკოვის არმიელთა ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდთან წაგების შემდეგ თბილისის დინამოელებს კიევის „ბურევესტნიკთან“ მოგება პაერიანით სჭირდებოდათ.

ორივე გუნდმა შეხვედრა ძირითად შემადგენლობით დაიწყო. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ კიეველებმა ოთხი ქულა მოიპოვეს, მაგრამ ლეჟავამ და ინწკირველმა ანგარიში სწრაფად გაქვითეს. შემდეგ კვლავ კიეველებმა აიღეს ინიციატივა, შეთანხმებულად დაიწყეს მოქმედება, მასპინძელთა ფარის ხშირი სტუმრები გახდნენ. მეექვსე წუთზე ლეჟავამ და კილაძემ კვლავ გაათანაბრეს ანგარიში. განსაკუთრებით სუსტად ითამაშა ლ. მოსეშვილმა. ჯერ იყო და მოწინააღმდეგის ფართან ხელსაყრელ პირობებში მყოფმა, გუნდს სარგებლობა ვერ მოუტანა და შემდეგ, უხეში შეცდომის შედეგად ბურთი პირდაპირ ხელებში მისცა მოწინააღმდეგეს, რომელმაც არ დააყოვნა და განსხვავება კიდევ გაზარდა. მერე წუთზე, როდესაც ანგარიშმა 18:13-ს მიაღწია კიეველთა სასარგებლოდ, ვ. ალტაბაევმა შეცვალა მოსეშვილი, რომელიც მოედანს ბოლომდე აღარ დაბრუნებია.

ალტაბაევის გამოსვლის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, გახშირდა კიეველთა ფარის იერიშები. ერთ-ერთი სწრაფი კომბინაცია — ალტაბაევი-ინწკირველი-კილაძე — ამ უკანასკნელის სნაიპერული სროლით დასრულდა. ქულათა განსხვავება თანდათან შემცირდა. მეათე წუთზე უგრეხელიძემ, ხოლო მეცამეტე წუთზე ინწკირველმა მიიღეს ოთხ-ოთხი პერსონალური ჯარიმა და საჭირო გახდა მათი შეცვლა. მოედანზე გამოვიდნენ ი. ხაზარაძე და გ. მინაშვილი. ამ მომენტიდან გააქტიურდა ლეჟავა. ზედიზედ ორი ბურთი მოათავსა მოწინააღმდეგის კალათში და ანგარიში 25:25 მიიყვანა. ამის შემდეგ ანგარიში ორჯერ იყო საჯაიმო — 27:27, 31:31. ტაიმი მოიგო „დინამომ“ — 33:31.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა (კილაძე, ლეჟავა, ხაზარაძე, მინაშვილი, ალტაბაევი) უფრო ორგანიზებულად დაიწყეს და ძალე ანგარიში 41 ქულამდე აიყვანეს. მაგრამ კიეველთა თავდასხმის სულისჩამდგმელმა, გუნდის კაპიტანმა ვ. კოტოროვმა ზუსტი ტყორცნებით ანგარიში საგრძნობლად შეამცირა. ბურთებიც შეხვედრა სამთავრდებოდა ორი წუთი ადრე, ანგარიში იყო 61:58 თბილისელთა სასარგებლოდ. შემდეგ ალტაბაევმა 4 ქულა გააკეთა და თავის გუნდს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმტკიცა. დრო იწურებოდა და მასპინძელთა გამარჯვებაში ეჭვს შეტანა არავის შეეძლო. სწორედ აქ მოხდა მოულოდნელი რამ. ლეჟავამ წინდაუხედავად და მოუფიქრებლად თავსუკან უმისამართოდ გადაიგდო ბურთი, რომელსაც მოწინააღმდეგე დაეპატრონა და დაუყოვნებლივ მოათავსა კალათში. დარჩა წამები და განსხვავება ერთ ქულაში დინამოელთა სასარგებლოდ. ბურთს მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის ფართან არაზუსტი გადაცემა საბედისწერო გამოდგა — დიდი შრომის შედეგად მოპოვებული წარმატება წყალში ჩაიყარა, კვლავ კიეველები დაეუფლნენ ბურთს და მასპინძლებმა განიცადეს კიდევ ერთი დამარცხება — 65:66.

ა. ბარნოვი

ვ. ბორისენკოს გამარჯვება

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ვ. ბორისენკო-ტ. ზატულოვსკაის მატჩი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელის გამოსავლენებლად.

ექვსმა პარტიამ არც ერთ მხარეს არ მისცა უპირატესობა. დებულების შესაბამისად ის, ვინც შემდგომ პარტიებში პირველი მიაღწევდა გამარჯვებას, გამოცხადდებოდა ჩემპიონად. VIII პარტიაში გამარჯვება და ჩემპიონობაც ბორისენკომ მოიპოვა.

მიმდინარეობს ჩემპიონატები

ინგლისის ჩემპიონატში პირველი ადგილის საკითხი თითქოს კარგა ხანია გადაწყდა. აქ მეორე წრის დასაწყისისათვის ხუთი გუნდი („ტოტენჰემ ჰოტსპური“, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“, „შეფილდ უენსდეი“, „ბერნლი“ და „ევერტონი“) დაწინაურდა ისე, რომ სხვებისათვის ისინი თითქმის მიუღწეველნი იყვნენ. შემდგომში მეხუთე ადგილს მიუახლოვდნენ „ასტონ ვილა“ და „არსენალი“, მაგრამ ზევით, უშუალოდ ჩემპიონის სახელისათვის მებრძოლ გუნდებს შორის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

მართალია, ლიდერმა — „ტოტენჰემმა“ ამ სეზონში განიცადა მეორე დამარცხება („მანჩესტერ იუნაიტედისაგან“ — 0:2), მაგრამ 48 ქულა, რომელიც გუნდს გააჩნია, პირველი ადგილის სრული გარანტიაა. მისი უახლოესი კონკურენტია „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“, რომელსაც აქვს 38 ქულა. შეძლებენ „მგლები“ 3 თვის განმავლობაში „შთანთქან“ ასეთი დიდი განსხვავება — 10 ქულა?

პირველ ლიგაში დარჩენისათვის გააფთრებული ბრძოლა წარმოებს ოდესღაც ძლიერ გუნდებს „ბლეკპულსა“ და „პრესტონ ნორსენდს“ შორის. მათ რამდენიმედ დასცილდა „ნიუკასლ იუნაიტედი“.

თუ კუნძულზე სადღესოდ ერთი გუნდის ასეთი არნახული ჰეგემონიაა, კონტინენტის საფეხბურთო მინდვრებზე პირიქით, არნახული ბრძოლაა გაჩაღებული. მაგალითად, საფრანგეთში გათამაშებას სათავეში უდგანან „მონაკო“, „რესინგი“ და „რეიმსი“. ბოლო ტურებში განცდილ წარუმატებლობათა გამო საგრძნობლად შეფერხდა „რეიმსი“ (32 ქულა), სადაც ტრადიციული ტრავმის შედეგად კვლავ არ თამაშობს ჟ. ფონტენი. „რესინგს“ თანდათან უჭირს ლიდერის პოზიციების შენარჩუნება, სამაგიეროდ მონაკოს წარმომადგენლები არნახული თავგამოდებით იბრძვიან, რათა თავიანთ პატარა სამთავროში წაიღონ საფრანგეთის ჩემპიონის მაღალი ტიტული.



თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა იტალიაში. წინა წლებისაგან განსხვავებით, მიმდინარე სეზონში გათამაშებას სათავეში ჩაუდგა დედაქალაქის გუნდი „რომა“, იგი დასაწყისიდანვე კარგად თამაშობდა, მაგრამ ორი-სამი კვირის წინათ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ მიიღო მძიმე ტრავმა და „რომას“ წინსვლაც დამუხრუჭდა. სამაგიეროდ, ცხრილის შუაგულიდან ამოტივტივდა „კატანია“, რომელმაც თავისი უკანასკნელი მატჩი ფრედ ითამაშა „ტორინოსთან“ —0:0, აიღო მეტად საჭირო ქულა და გაუთანაბრდა „რომას“. ახლა ამ ორივე გუნდს 22 ქულა აქვს.

მას შემდეგ, რაც „ინტერნაციონალეს“ კლუბის გამგებლებმა ესპანეთში შეიძინეს ცნობილი მწვრთნელი ე. ერერა, გუნდის საქმე სულ უფრო უკეთესად მიდის. ამ მართლაც შესანიშნავმა სპეციალისტმა „ინტერნაციონალეს“ მოთამაშეებს შთაუნერგა დიდი ბრძოლისუნარიანობის სული, მათს მაღალ ტექნიკას ასეთივე მაღალი ფიზიკური მომზადება შესძინა და თუმცა ეს გუნდი მხოლოდ ორი ქულის განსხვავებითაა დაწინაურებული, მისი პოტენციური შესაძლებლობანი უფლებას აძლევს მიმომხილველებს იტალიის მომავალ ჩემპიონად აღიარონ „ინტერნაციონალე“.

✦

მეტიუზი 46 წლისაა

სტენლი მეტიუზს, ინგლისის ფეხბურთის ცოცხალ მატიანეს, შეუსრულდა 46 წელი. ყოველი სეზონის დასასრულს ჟურნალისტები მის კარიერას დამთავრებულად აცხადებენ, მაგრამ დგება ახალი სეზონი და მეტიუზი ამტკიცებს, რომ მას კიდევ აქვს თამაშის უნარი.

ამ საოცარი ფეხბურთელის „სპორტული სიცოცხლე“ მართლაც ერთობ ხანგრძლივი აღმოჩნდა. მეტიუზი ახალგაზრდა ფეხბურთელი აღარ იყო, როცა დაწინაურდნენ მისი უმცროსი პარტნიორები ს. მორტენსენი, ტ. ლაუტონი, ბ. რაიტი, ნ. ლოფტჰაუზი, ტ. ფინეი და სხვანი. დღეისათვის ეს ვარსკვლავები აღარ თამაშობენ, მეტიუზი არა თუ თამაშობს, არამედ წამყვან როლსაც კი ასრულებს თავის კლუბში, რომლის ერთგული დარჩა ბოლომდე.

მეტიუზი მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მონაწილეობდა (1950 და 1954 წლებში) და თუ ინგლისის ნაკრებმა მაშინ მარცხი განიცადა, ბრალს ამაში მას ვერავინ დასდებს. სტენლი უაღრესად საშიში იყო მეტოქისათვის. ცნობილია, რომ მეტიუზი არც თუ ისე ხშირად მონაწილეობს კარის უშუალო იერიშში, მაგრამ მისი უზუსტესი გადაცემები სწორედ „მისწრებაა“ ცენტრალური სამეულისათვის. მეტიუზი იოლად უსწორდებოდა თავის დარაჯებს, მაგრამ ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ლოფტჰაუსმა და მისმა პარტნიორებმა ვერ გამოიყენეს მისი ბრწყინვალე გადაცემები.

1958 წლისათვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ისევ დაისვა მეტიუზის ინგლისის ნაკრებში შეყვანის საკითხი. მართალია, ახალგაზრდა ბ. დუგლასი ძალზე ჩამოგავდა თავის სახელოვან წინამორბედს, მაგრამ სპეციალისტებს ისევ მეტიუზი ერჩივნათ. მაშინ თავი გამოიდო ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უეინტერბოტომმა, რომელმაც კურსი აიღო გუნდის გაახალგაზრდავებაზე. ინგლისელთა სავალალო შედეგების შემდეგ სპორტულმა მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ ასე არ მოხდებოდა მეტიუზის მონაწილეობის შემთხვევაში.

ორი მეტიუზის დარდი

ინგლისში დიდ იმედებს ამყარებენ ჭაბუკ ჩოგბურთელ მეტიუზზე. მას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ შეიყვანეს ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში, ვინაიდან ძალზე პატარად მიიჩნიეს. როცა ჭაბუკმა ჩოგბურთელმა ეს თავის მამას, სტენლი მეტიუზს შესჩივლა, სახელოვანმა ფეხბურთელმა სევდიანი ღიმილით მიუგო: „ასეა შვილო. ჩვენ საერთო მტერი გვყავს — ასაკი!“

ასაკი მეტიუზის დიდი მტერია, მაგრამ არც თუ უძლეველი. მართალია, სტენლის ოთხი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში გოლი არ გაუტანია, მაგრამ მისი ყოველი ავადმყოფობა „ბლეკპულის“ თამაშს დაღს ასვამს. მიმდინარე სეზონშიც „ბლეკპულის“ საქმე უმეტიუზოდ ძალზე ცუდად წავიდა (გუნდი ჩემპიონატში უკანასკნელ, 22-ე ადგილზე იმყოფებოდა), მაგრამ „უკვდავი“ მეტიუზი ისევ გამოჯანმრთელდა და გუნდის მდგომარეობაც გაუმჯობესდა.

გ. გამრეკელი

რედაქტორი ი. უგულავა

10 თებერვალს, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კლუბში (ჭავჭავაძის პროსპექტი № 43) შესდგება საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი.

დღის წესრიგშია:

1. საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება.

2. საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევნები.

დასაწყისი 13 საათზე.

დღეს! კალათბურთი

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი

საკავშირო პირველობა

»დინამო« (თბილისი)— »დინამო« (მოსკოვი)

დასაწყისი 19 საათზე.

ხვალ! კალათბურთი

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი

საკავშირო პირველობა

სპი (თბილისი) — სკიფი (კიევი)

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 0383